გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 76

2025 წლის 13 ივნისი
ქ. გორი

გორში, ცხინვალის გზატკეცილის მე-3 კილომეტრზე მდებარე შპს ,,აგრო მოლის" მიმდებარედ ორ ლოკაციაზე ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.28 ,,დგომა აკრძალულია" განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია შპს ,,აგრო მოლის" წერილი, რომელითაც მოთხოვნილია გორში ცხინვალის გზატკეცილზე ,,აგრო ბაზრის" დასაწყისში და ავტოსადგურის დასაწყისში ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის აკრძალვა. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, საქართველოს შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით ზემოთ აღნიშნულ ორ ლოკაციაზე განთავსდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.28.,,დგომა აკრძალულია".

საგზაო უსაფრთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორში, ცხინვალის გზატკეცილის მე-3 კილომეტრზე მდებარე შპს ,,აგრო მოლის" მიმდებარედ ორ ლოკაციაზე ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.28 ,,დგომა აკრძალულია" განთავსება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1.გორში, ცხინვალის გზატკეცილის მე-3 კილომეტრზე მდებარე შპს ,,აგრო მოლის" მიმდებარედ ორ ლოკაციაზე განთავსდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.28.,,დგომა აკრძალულია".

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე